



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 59

2017 წელი 20 ნოემბერი

ქ.ბათუმი

დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ.ე" ქვეპუნქტის შესაბამისად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. შეიქმნას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი ხმის დამთვლელი კომისია (შემდგომში ხმის დამთვლელი კომისია) შემდეგი შემადგენლობით;

ა) ჯამბულ თავართქილაძე- თავმჯდომარე;

ბ)მინდია დიასამიძე-მდივანი;

გ)მალხაზ სალვარიძე.

2. ხმის დამთვლელი კომისია :

ა) თავისი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით ირჩევს კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს;

ბ)ხმის დამთვლელი კომისია ხელმძღვანელობს ბიულეტენების მომზადებას, დარიგებასა და კენჭისყრის პროცესს, თვალყურს ადევნებს და ითვლის ხმებს ღია ან ფარული კენჭისყრის დროს, აცხადებს კენჭისყრის შედეგებს, ადგენს ხმების დათვლის შედეგების შესახებ ოქმს, ოქმის შესახებ აცნობებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და უზრუნველყოფს სხვა ორგანიზაციული ღონისძიებების მოგვარებას.

3.ხმის დამთვლელი კომისია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომაზე დამტკიცებული დღის წესრიგის ამოწურვისთანავე წყვეტს საქმიანობას და შემდგომში შეიძლება შეიქმნას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ იმავე წესით.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ახალარჩეული
საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარე

თეიმურაზ შამილაძე